

მეზობელ რთახში რაღაც ტყდება.

— დაიწყო!

ისმის ჯოზის კაქუნი.

— დაიწყო, დაიწყო! აღარ შემიძლია, ისევ თავიდან, ისევ თავიდან!.. აღარ შემიძლია!..

ბინაში შემოიპარება, შემოიმურწება მონადირე: ძალიან დაფურის, თოთისწევერებზე-გულდასმით ჩხრექს შეს დება, კარადის უკანაც.

ჯოზის კაქუნი ახლოვდება.

რეპარატურული.

თანდათან ბნელდება.

დასასრული

2002 წელი

ტალას ჩიტი მომავლას იყო

(ორმოქმედებიანი დრამა)

პერსონაჟები:

ანდრო

დოდო — ანდროს ცოლი

დავითი — ანდროს მამა

ბაადური

დელი — ბაადურის ცოლი

პაუა-მცველი

მკვლელი ქალი

პირველი მოქმედება

წენეთის სამთავრობო, მდიდრული აგარაკი.
ანდრო და ბაადური

ანდრო. „ჭალას ჩიტი მომქედარიყო...“

ბაადური. აუ, დაიწყო თავიდან!

ანდრო. „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი მომქედარიყო...“ ვთქვათ და, მოხდა ისე, როგორც შენ ამბობ. და-კაშვათ. ხალხი როგორ შეწვდება ამ ამბავს?

ბაადური. ხალხი? ჩემულებრივად. ხალხს ფაქტები უყარს. ხალხი ძალიან პრაქტიკულია.

ანდრო. — „დიდ ქვაბში არ ეტეოდა“...

ბაადური. არ მისმენ?

ანდრო. როგორ არა, როგორ არა. ხალხს უყვარს ფაქტები... ბაადური. — ხო, როცა მის მაგივრად სხვა ფიქრობს.

ანდრო. როგორი ნაცნობი სიტყვებია!

ბაადური. იმიტომ რომ სიმართლეა!

ანდრო. სადღაც წამიკითხავს, თუ გამიგონია. ვერ შესწან თანხმები. ფაქტები უყვარს ბრძოს.

ბაადური. ეგ, ჩემო კარგო, ფილოსოფიაა. აი, რა არ უშაოს ხალხს და ფილოსოფოსობა! იცი, ალბათ, როგორ ეს უშაო ფილოსოფოსებს.

ანდრო. როგორ არა — ფეხით კიდებს, კოცონზე წერის, ატყავებს, აღუღებულ კუპრს ასრამს პირში. ციხეში ალბოტის განა ამას ბრძო არ აკეთებს ანუ, ბრძოს იდეოლოგია? ჩემის რა შეაშია! უდროო დროს გვახსენდება ხოლმე ხალსი, უმ ტარაში სულ არ იყო ...

ოთახს, ინგლისის ბორბლებიანი სახარძლით ინტერი გვენტური გარეუნობის მოხუცი კაცი გადაჭრიას. ხელში პატარი დროშა უჭირავს. მათკენ არ იყურება.

დავთი (დროშას აფრიალებს). გაუმარჯოს თავისუფერებას! გაუმარჯოს თავისუფლებას!

გადის.

პაუზა.

ბაადური. ამას როგორ ვიფიქრებდი, როგორ წარმოესოდება... ძია დავითი, ჩვენი მასწავლებელი... ჰქუის დამრიცებული. მოძღვარი. ქომაგი. მეგობარი... რა უღმერთობაა. ასეთი ნათელი აზროვნების კაცი...

ანდრო. მე რომ მეორედ დამიჭირეს, მაშინ ჩაექცა ჩიჩი ხლი...

ბაადური. არ არის ეს დიდი უსამართლობა? ღმერთი სის არის, რა ხდება?

ანდრო. არაფერი. გაუმარჯოს თავისუფლებას!

ბაადური. მაგან ჩაგვინერგა თავისუფლების სიყვარული. ციხეში რომ ვიჯერი, სულ მახსოვდა: ვინც თავისუფლების სის

სის იბრძვის, ყოველთვის მართალია! იცი, როგორ მეტმარჯობოდა ეს?

ანდრო. ხოდა, აი, ასე დაინგალიდებულები ვხვდებით თავისუფლებას. მარტო ეგ კი არა, ყველა, სხვათა შორის.

ბაადური. ყველა? ვერ გავიგე?

ანდრო. ყოველ შემთხვევაში, მე და შენ ნამდვილად. „ჭარას ჩიტი მომკვდარიყო“...

ბაადური. მომისმინე!

ანდრო. იცი, რას გეტყვი: მოკლედ, თავი დამანებე. არაური აღარ მითხრა...

ბაადური. დღეს რა დაგვმართა? როგორც გენებოს, ბატონი დრამანდები.

ანდრო. ხოდა, დამანებეთ თავი!

ბაადური. რა იყო. რა გაყვირებს, რა გითხარი ასეთი? თავეს რაღაც სხვანაირად ლაპარაკობ. მარცხენა ფეხზე ამდგარისარ, ძმაო. არ მესმის, არ მესმის, რა ხდება. ყვირილი რაღაა, კინ გეკიდება ზედ, თუ არ გინდა, კი, ბატონი, ძალით როგორ მეიძლება, მით უმეტეს, ასეთი რამ. კაციჭამიები კი არა გართ... მხოლოდ შენი ნებით, რადგან ჩვენი ხარ, ჩვენი ნაწილი. შენ, მე, უს, სულერთია. ხან ერთი გააკეთებს რაღაცას, ხან — მეორე, ხან კი — მესამე. კიდევ კარგი, მარტო მე და შენ არა გართ. მესამა შევფიცეთ ერთმანეთს, ხომ გახსოვს? მერე რა, რომ სუფრაზე, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ხომ ვუთხარით ერთმასების, ძმები ვიყოთო, ძმები ვიქნებით მუდამო, ხომ ვთქვით? თუ უკეთ ვიგონებ რაღაცას. ძმობა კი ძალიან ძნელია. არ ვიცი, რა კოჟი ისეთი, შენ რომ არ გცოდნოდა. მოუღოღნელი ყოფილი შენთვის. აი, ვფიქრობ და ვერ მივმსვდარვარ, რა გითხარი ასეთი...

პაუზა.

ანდრო. ღორები...

ბაადური. რა თქვი?

ანდრო. ღორის კოლტის ეშმაკი შეუწინდაო...

ბაადური. რის თქმა გინდა, თქვი ადამიანურად!

ანდრო. სახარებაშია ასე.

**ბაადური. ჩევნ ვართ ღორები? მითხარი! გამოიხდე აქეთ
შენ გეუბნები! რა ხდება ჩევნს თავს, არ ვიცი, არ ვიცი, სწო
რედ! ღორები. ღორის კოლტი. ეშმაკი. სახარება! პოეტის კი
დაუიწყეთ! არაფერს გარგს არ მოიტანს ეს. გული მიგრძნობის
მაგრამ არა, ძმაო, არა, დაწყნარდი. ეს წუთიერი დეპრესია,
ყველას დაგვმართია. ნევროზი. გაიღლის, უსათუოდ გაიღლის,
მაგის ნებაა?! ოლონდ პოეტობას დაანებე თავი. დამიჯერე, კი
ბოთლი რომ დაიცალა, ვერ ხედავ? შენც მოგიზდება, კოსტა
ცოტა რომ დალიო. გამოგისწორება გუნება. დამიჯერე.**

ანდრო. საკმარისია. მეტი არ მინდა.

ბაადური. შენ არ გინდა, მე დამალევინე!

ანდრო. ეგერ მანდ დევს კარადაში.

ბაადური. ამ კარადაში?

ანდრო. ხო, ეგ კარადა გამოაღე.

**ბაადური. აი, გამოვაღე. ოპო, კარგი რაღაცები გქონის,
ძმაო, შენ! გეშინია?**

ანდრო. რა თქვი?

**ბაადური. კი, გეშინია. (ისხამს კონიაგს. სგამს). შიშმა იქი
მაგისთანა ლაპარაკი. სახარებაც ამ ღროს ახსენდება კაცი
ადამიანი შიშმა გააპოეტა. უნდა გამოგიტყდე, ეგ ცოდვა პირ
მაღევს. წარმოგიდგენია, იქ ლექსებს ვწერდი! მე! კიდევ კარგი,
მიცნობ. გამოვედი თუ არა, გათავდა, პოეტობაც სასჯელია
ერთად მოვიხადე. ოოო, შიში დიდი ძალა. თქვი, გამოტყედ
ხომ ვართ ძმები, არ გაგთქვამ. გეშინია თუ არა? შიშის სუ
შეგრცხვება. შიში სწორედ ვაჟკაცებს ჩვევიათ. შიში უნდა და
ლიო. შიშის დაძლევაა ვაჟკაცობა. თქვი, ამოიღე ხმა. ხო
გეშინია? აი, მე, მაგალითად, მეშინია.**

ანდრო. რა თქვი?

328

ბაადური. ძალიან!

ანდრო. შენ გეშინია?

**ბაადური. ძალიან-მეტე. კი, ძალიან მეშინია. იმიტომ, რომ
საქმეს შევეჭიდეთ. მაგრამ ცხოვრების საქმეა ეს, ცხოვრე-
ბის, ჩვენი, ჩვენი ყველაზე დიდი საქმე. როგორ არ მეშინია.
სუსინია ნამდვილად, მაგრამ რას იზაბ.**

ანდრო. ჩემი ბიჭი წერს ლექსებს...

ბაადური. დათო? რას მეუბნები?

**ანდრო. ხო, იმ დღეს რევული დარჩენოდა მაგიდაზე და
წერითხე ლექსები, ლექსები, ლექსები...**

ბაადური. კი მაგრამ, ოცის ხოა უკვე?

ანდრო. კი, ოცისაა.

**ბაადური. მერე? რას უყურებ, გაუშვი საზღვარგარეთ, ამე-
რიკაში, გრძმანიაში, რა ვიცი, სადმე ნორმალურ ქვეყანაში. აქ
რა უნდა, რას აკეთებს? მოხვდება ცუდ წრეში, თუმცა აზლა
კარგი წრე აღარც არსებობს, გაიჩინიავს, ანდა, ღმერთმა და-
თვაროს და, რესტორანში მოკლავნე. მერე გვიან იქნება. აი,
ასეთ ლექსებს წერს. პატიმარი არ არის და ძაინც წერს, ესე
უკა. (უდად არის საქმე. ეს არ არის კარგი ნიშანი. შენც გაგა-
სორგა. ღროზე გაარიდე აქაურობას, ღროზე, ღროზე. მიხედე
სკოლს, ასე როგორ შეიძლება! ვისაც პატრონი ჰყავს, ყველა
კისეულობია ახლა, ან სწავლობს, ან ისე, ცხოვრობს იქ უბრა-
ლოდ. რად გინდა, „ქოზი“ რომ იყიდე პარიზში? ძალიან საში-
ლია. ახლა აქ ყოფნა, ჩვენზე უკეთესად ვინ უნდა იცოდეს ეს.
უკანი სახლში დარჩა, რა გააკეთაო“, ხომ გაგიგია? ღოდო
როგორის ჩამოღის?**

ანდრო. პა? ღოდო? ორი კვირა კიდევ დარჩება აღსათ...

ბაადური. მოდი, ამ ჭიქით ღოდოს გაუმარჯოს!

**ანდრო. რა? ხო. გაუმარჯოს, გაუმარჯოს. იცი, რაზე ვფიქ-
როდ? სული იშვიათი საქონელია-მეთქი...**

ბაადური. სული საქონელია?

ანდრო. კი, საქონელია, საქონელია სული. ეშმაკს სული

მიპყიდაო, არ გაგიგია? წინათაც საქონელი იყო და ასწუუ
ასეა. იშვიათი, ძვირფასი საქონელია, იმიტომ, რომ ასეთი წერი
ტარი ჰყავს. ეშმაკი! აი, შენ, მაგალითად, არ გინდა, სურა
გქონდეს?

ბაადური. მეე?

ანდრო. ხო, შენ!

ბაადური. მე სული...

ანდრო. გგონია. რომ გაქვს, არა? არ დაიჯერო, არ წერ
ჯერო, ჩემო კარგო. არც შენ და არც მე ეს ძვირფასი საქონელი
აღარ გაგვაჩინია. დიდი ხანია თავიდან მოვიშორეთ, თანაც ეს
ლიან იაფად.

ბაადური. კარგი რა, თუ მმა ხარ! ხომ გითხარი, არ წერ
და ეგეთი ლაპარაკი-მეთქი!

ანდრო. რა უცნაური რაღაც დამესიზმრა წუხელ... მიუწ
მეც დავლევ ერთ ჭიქას.

ბაადური. რა ნახე მაინც ამისთანა?

ანდრო. რა ვნახე და...

ბაადური. სიზმარში გითხრეს, სული საქონელიაო?

ანდრო. დაახლოებით. თუმცა, არა, იქ არ უთქვამი, უწერია,
სიზმარი არ მახსოვს ხოლმე, გავიღვიძებ თუ არა, შეინვე
მავიწყდება. ეს კი ისე ცხადად დამამახსოვრდა, თოთები
ნამდვილად გადამზდა თავს. თუმცა, სინამდვილეც ერია ის სამარ
ში. ჭიქერის უღელტეხილი დამესიზმრა. ვიღაც ქალი დიოდა
ჩემ გვერდით, ჩემთან ერთად. ჩანთა მოპქონდა შეის
უჭირდა ტარება. მაღალი ქალი იყო. კაცის ტანსაცმელი ეს
ვა...

ბაადური. სიზმარს მიყვები?

ანდრო. ხო, სიზმარს გიყვები, სიზმარს... ის ქალი თუ
ქოს უცხოც იყო და თანაც ნაცნობიც. ნაცნობი კი არა, სასი
ლობელი, ჩემიანი, თან დოდო იყო, თანაც სხვა. კაცის პარუბი
ეცვა, კოჭებამდე ჩაფართხუნებული, ხო, ასე ვიღიერე სისინი
ში, რაც არ უნდა მოხდეს, დოდო თავისას არ მოიშლის-მეორეს.

ესათუოდ რაღაც თეატრალურს გამონახავს-მეთქი. პრიალა,
მაღალი, ცილინდრის მაგვარი ქუდი ქურა. შეიძლება ტან-
საცმელი საერთოდ თეატრის გარდერობიდან ჰქონდა ნაცეპბა-
რებად წამოღებული, რაც ხელში მოხვდა უცებ. სპექტაკლიდან
ქარაში გამოვარდნილ მსახიობს ჰგვადა. მიძიე ჩანთა მოპქონ-
რა. თუ ეს უგვე გითხარი. მოგეხმარებით-მეთქი. არაო, იუარა.
შესამე დღეა, ასე მოვლიგარო. აღარ დაადგა გზას საშველიო.
შესალა მისი სიტყვა მახსოვს, ისიც მახსოვს, მასწავლებელი ვა-
რთ, თუმცა არ მიკითხავს, რა პროფესიის ბრძანდებითო. სა-
კრიონდ, არაფერი მიკითხავს. მარტო ის ლაპარაკობდა, დაუს-
რულებლად, გაუთავებლად. ეს ნისლიც თითქოს ჩეგნდა ჭირად
სასოწვაო, თითქოს ღრუბლებში მიღდიგართო, მიწა დაგვეკარ-
გო, ცაში, ცაში მოგაბიჯებოთ, ხომ ასეა? მოგეხმარებით-მეთქი.
კაფუმეორე, ეტყობა, თქვენი ჩანთა მძიმეა-მეთქი. არადა, ამ დროს
სასის ერთად მოგვქონდა ის ჩანთა. რა გიდევთ შიგ ასეთი მძიმე-
მეთქი. სიკვდილიო, სიკვდილიო. გაიმეორა, ჩვენი ბავშვი მი-
წერს შიგ მკვდარიო. ეს სიტყვები არ გამკვირვებია, მარტო ის
კუთხარი, მკვდარ ბავშვს ჩანთაში რა უნდა, მიწას რატომ არ
სასაბარებო-მეთქი. სად არის მიწაო? ვერ ხედავთ, მიწა რომ აღარ
არსებობს, ცაში როგორ დამარხო. ცაში საფლავს ვინ თხრი-
სო. დაფიბენი, ვერაფერი გავიგე, იმასაც ასე ვუთხარი. მიწა!
მიწა! მიწაო! იყვირა...

ბაადური. შენ, მმაო, სიზმარს მიყვები თუ მოთხოვობას?

ანდრო. არც ერთ სიტყვას არ ვამატებ.

ბაადური. — ხოდა, მეც იმ წუთას დაგიჯერე! (საათზე იხე-
ლება) მოკლედ. მე მივდივარ. ითიქტე. ერთი სიტყვა უნდა შითხ-
რა, ან ხო, ან არა.

ანდრო. ვთქვათ და „არა“ გითხარი, მერე?

ბაადური (ხელებს გაშლის. ლიმილიო). შენი ნებაა. ვერა-
კან დაგაძალებს. დემოკრატია!

ანდრო. ვთქვათ და უფროსმა გაიგო?

ბაადური. უფროსს ვინ ეტყვის? შენ? არა მგონია. სხვა

ვინ არის მთქმელი. სამაგიეროდ ქვეყანა გრძელებულიან სკოლის
მიიღებს. ამოისუნთქავს ცოტას. რა გახდა ეს პორტი! სირწყი
ლი ხომ არ იქნება! სამაგიეროდ, რამდენი სიკეთე მოპყვება ას
ამბავს. მთელ ქალაქს ააშენებენ. თან ხომ არ წაიღებენ, სკოლი
არ დაგვრჩება?

ანდრო. ვთქვათ და გაიგო, მაშინ?

ბაადური. მაშინ...

ანდრო. ხო, მაშინ, მაშინ!

ბაადური. მაშინ? უფროსიც ადამიანია, ადამიანი კი, სკოლი
კარგო, მოკვდაფია.

ანდრო. არა, არა, არა-მეტეი, გაგიჟდი!

ბაადური. შენ გარდა, სხვა ვინ არის მთქმელი, ვინ გაუსწევს?
სხვას არც დაუჯვრებს. მოკლედ, დიდი არაფერი მოხსელი
ბა. არც ახალი. არც საკვირველი. კატასტროფა. დაუდგენერა
პირები. პირველი ხომ არ იქნება. ისედაც ყველაფერი მოწილ
ლულია. ჰაერი. მიწა. ზღვა. ყველაფერი.

ანდრო. მერე?

ბაადური. ხოდა, ნუ გეშინია. ბუნებას თვითგან კურნების
უნარი აქვს. ცხოველებსაც. გინახავს, მოწამლული ძალი
ლახს როგორ ძოვს? ბალახია მისი წამალი.

ანდრო. — ადამიანს?

ბაადური. რა ადამიანს?

ანდრო. ადამიანს თუ აქვს ეგ უნარი?

ბაადური. არ ვიცი. დავიწყეთ ფილოსოფოსობა? ადამიანი
ნი რა ჩვენი საქმეა. პირველი ხომ არ არის შენთვის, დღეს რა
დაგემართა?

ანდრო. არ ვიცი. არ ვიცი. არ ვიცი.

ბაადური. ის თუ იცი, რამდენი ადამიანი ელოდება შენს,
ერთ სიტყვას? ადამიანი, ადამიანიო, გაიძახი. ადამიანს კი პუ-
რი ჭირდება, სითბო, ტანსაცმელი. შენი ერთი სიტყვა და მო-
წყდება ჩვენს პორტებს, აეროფორმებს გემები, თვითმფრინა-
ვები, გზები მანქანების ქარავნებით გაიგისება. იცი, რამდენ ადა-
მიანი მანქანების ქარავნებით გაიგისება.

შენის დაღუპავ შენი უარით, რამდენს წაართმევ ლუკმაპურს?
ბოლოს და ბოლოს, ყველას საქმე გამოუჩინდება. საქონლით,
საქონლით გაეითხოვთ.

ანდრო. მოწამლული საქონლით?

ბაადური. კარგი ერთი! ჩვენ იმუნიტეტი გვაქვს, მმაო. მა-
კახე სხვამ იფიქროს. ყველამ თავის საქმეს მიხედოს შენ გგო-
სო, უფროსმა ეს უშენოდაც არ იცის?

ანდრო. მერე თუკი იცის...

ბაადური. დგება წუთი, როცა...

ანდრო. რა როცა? დაამთავრე! როცა თავს ზევით ძალა
არა აქვს?

ბაადური. თუნდაც. შენ გგონია, გაუხარდება, თუ ეტყვი?
ასთ ხომ პირდაპირ მას დაადანაშაულებ? შენ გგონია, არ
იყის, ადრე რას აკეთებდი? რაზე აწერდი ხელს უენევაში, ჰა-
კაბისი, როტერდამში, რომელი ერთი ჩამოგითვალო! არც უფ-
როსს უყვარს თავისი უმწეობის გამოჩენა, მაშინ სად იყავი,
მაშინ? სინდისი არ გქენჯინდა? თუ სინდისი ქენჯნა სეზონუ-
რია! ასე რომ, დამშვიდდი, ახალი არაფერი ხდება. უბრალოდ,
მასმტაბია სხვა, ეს არის და ეს. კიდევ გაუძლებს ჩვენი ხალხი.
ას ბოლო წლებში რასაც უძლებდა, ხომ წარმოუდგენელია?
ხოდა, ამასაც გაუძლებს. შველა რომ შეიძლებოდეს, კიდევ ხო.
სელს არავის აძლევს ჩვენი გადარჩენა. მე შენ ასეთი გულუბ-
რეკილო არ მეგონე. ყველაფერი გადაივლის. ეს იმიტომ ხდება,
რომ უცხოელი ინვესტორები არ დავკარგოთ. შენ გგონია, ქრთა-
მი საქართველოში მოიგონეს? ქრთამი საერთაშორისო ცნებაა.
ასე რომ, არავინ ისე უმწეო არ არის, როგორც ადამიანი, რომ-
რის ხელშიაც თავმოყრილია მთელი ძალაუფლება. ბრძენს უთ-
ქამს, ძალაუფლება მისი ბოროტად გამოყენების გარეშე, ძა-
ლაუფლება არ არისო.

ანდრო. შენ ფიქრობ, უფროსიც?

ბაადური. არა, არ ვფიქრობ. ნამდვილად არა. მაგრამ ეგ
რას ცვლის? პენსიონერმა ან ლტოლვილმა პუმანიტარული დას-

მარება რომ მიიღოს, იცი, რამდენი უნდა გამდიდრდეს? თუმჯომარებელი შენ ზომ ამას დაუფიქრებლად აკეთებდი, შეუწყვეტი რებელი იყავი. არ დაიჯერო, რომ ვინმეს ლუკიას ვაცლით მას რიდან, არ დაიჯერო. ეს სხვა ფულია. მაგ ფულთან რიცამი მოქალაქეს მაინც არავინ მიუშევებს. ეს ქაფია, რომელსაც სა- ლარიბე მოიგდებს ხოლმე თავზე. სიღარიბე დუღს, როგორმა დიდხანს უნდა იღულოს, რაც შეიძლება შეტი ქაფი რომ მომარტინოს თავზე. ო, დიდი ფული იცის ქვეყნის სიღარიბეში! უშარისა ზარი ქაფქირებით ქვევიან ამ ქაბს და ხდიან და ხდიან ქაფის შარეულებით. ეს კი ჩვენ, თუნდაც მე და შენ, კარგად ვისწერ.

ანდრო. ნუთუ ცხოვრებამ, თუნდაც, სიღარიბემ სხვა არა ფერი გვასწავლა?

ბაადურო. ცხოვრებას შეუძლია ან ეს გასწავლოს, ან შეტეროსთან ჯდომა და მათხოვრობა. ცხოვრებისგან პირველ რიცამი ის უნდა ისწავლო, როგორ დაასწრო სხვებს, როცა ამდეს აყროლებულ ნაგავში ფულის სუნი ივერქებს. ვინა თქვა, ფული სუნი არა აქვსო? არ დაიჯერო. ფულს „შანელის“, შემწვარი ინდაურის, ქალის სხეულისა და ხმელთაშუა ზღვის სუნი ასე დის. ამიტომაცაა, არც ერთი შეცის ყნოსვა რომ არ შეედრება დის. ჟერი ფინანსისტის ყნოსვას. ცხოვრება გიმბაფრებს ყნოსვანი ფინანსისტის გასწავლის ამას, რასაცირკელია, შენც თუ კარგი მოწაფე ხარ.

ანდრო. ნუთუ მართლა სხვა არაფერი გვისწავლია?..

ბაადურო. ვის უნდა ესწავლებინა სხვა რამე, ვინ გვყვდა მასწავლებელი?

ანდრო. რა ვიცი... გვყვავდა. როგორ არა...

ბაადურო. გვყვავდა და გვასწავლა კიდეც: როგორ უნდა გამოვწიოთ საკეტი. როგორ უნდა ჩავდოთ ბერდანკაში ტკივია, როგორ ჩავკეტოთ, როგორ დავუმიზნოთ და როგორ შევუნდოთ მეურდი პოეტს.

ანდრო. ეგ არ არის სასაცილო!

ბაადური. ასეა!

ანდრო. მარტო ჩვენ ხომ არ მოგვიყლავს პოეტი?

ბაადური. მე ეგ ვთქვი? სხვებიც არიან ჩვენისთანები, თავია ბევრი. მე არ მიყვარს ეროვნული გამორჩეულობა და ყოფილობინობა. ეს ნაციონალიზმია, ცუდი გაგებით. (რეგავს მობილური) ჩემია! გისმენთ? კი. მოვდგიარ (მობილურს ჯიბეში იდებს) ასა, კარგად იყავი. (კონცის) მაინც მმები ვართ, ხომ იცი. კარგად იყავი, კარგად (ცოლს გასძახის) დელი! მივდგიარ, არ წარისახვალ? გესმის, დელი?

გამოდის დელი, რომელიც აქამდე ამათგან ზურგშექცევათ, საკმაოდ მოშორებით ტელევიზორს უყურებდა.

დელი. მაყურებინე რა, ხომ იცი, ჩემი სერიალია (ანდროს) თავირჩები რა! ანდრო. (მხრებს იჩეჩას) — კი, ბატონო...

ბაადური. კარგი. დატები მაგ შენი სერიალით. როგორც კი გავთავისუფლდები, გამოგიყლი. ოლონდ აღარ ამოვალ. და კარგად და ჩამოდი. აბა, ნახვამდის. კარგად იყავით.

კარისკენ მიდის.

დელი ცერს ჩახმახივით შემართავს. საჩვენებელ თათს ქმარს დამბაზის ლულასავით შეუშევერს. დაუშიზნებს და პირზე ხელს აიფარებს, ჩაიფუკუნებს.

ბაადური (შემოტრიალდება). რა იყო? (დელი არ ჰასუსობს). რა იყო-მეტქი?

დელი. რა უნდა ყოფილიყო? არაფერი. რატომ მეკითხები?

ბაადური (საცილით). უცნაურია. თითქოს მესროლეს.

დელი (იცინის). ვინ გესროლა, მე? არა გრცხვენია! ჯერ ერთი, შენი ცოლი ვარ. მეორეც, კარგი სროლა ვიცი. შენ არ იასწავლე? ასე რომ, არავითარ შემთხვევაში არ აგაცდენდი. ეს არის, კარგი რეაქცია მაქვსო?

ბაადური. მოკლედ, დაგირეკავ და ჩამოდი.
მიდის.

დელი. ნახე, რა მაგარია! ნახე?

ანდრო. ცხოვრება აქვს ასეთი.

დელი. გაეგიუდი. მოკლედ, მაგასთან თამაში და ხუმრობის არ შეიძლება. თუ ესვრი, ნამდვილად უნდა ესროლო. ოლოსუ, ეგ ჩემი საქმე არ არის. იმედია, სხვა გააკეთებს ამას.

ანდრო. რას ამბობ, გესმის?

დელი. ძალიან კარგად მესმის. შენ თვითონ არა თქმა, ცხოვრება აქვს ასეთიო?.. კარგი, გვეყოფა მაგაზე ლაპარაქი. რამდენი ზანია, მე და შენ მარტონი არ დავრჩენილგართ. მეოთი ნი, ორი წელი. კი, ნამდვილად. სწორედ იმ წელს გავთხოვდა. (კონიაკს ისხამს. სფრის) მპა, კარგია! მიყვარს მაგარი სასწავლი. შენ არ დალევ ჩემთან ერთად?

ანდრო. არა, არ მინდა.

დელი. მაშინ სიგარეტი მომიტანე.

ანდრო. სიგარეტი სადა გაქვს?

დელი. ჩემს ჩანთაში. სკამზე გდია, ტელევიზორთან. (ანდროს სიგარეტი მოაქვს). დელი უკიდებს, ნაფაზს ამოაყოლებს), კარგია! (მაგიდასთან ჯდება. ფეხებს მაგიდაზე გააწყობს). რამაც დენი რამეა კარგი. აი, ცოტა სიცხე ტეხავს. ლიფი არ მაცვია, გინდა გაჩერენ?

ანდრო. არა. მე ხომ გითხარი, ყველაფერი დამთავრდა მეთქი, რამდენჯერ უნდა გაგიმეორო!

დელი. ჩემთ ძეირფასო, ნუთუ შენ, ასეთმა ჭკვიანმა ადამიანმა, ასეთმა დიპლომატმა, ასეთმა პოლიტიკოსმა, ასეთმა ფინანსისტმა არ იცი, რომ ცხოვრებაში ყველაფერი იწყება, მაგრამ არ მთავრდება, ანდა ყველაფერი მთავრდება, ოდონდ მხოლოდ მაშინ, როცა ამ ქვეყნიდან მივდივართ. აუფილერზეინ, ადიო, პაკა, გუდ ბაი, ჩაო. ერთბაშად, ყველაფერი ერთად, რაც კი ცხოვრებაში მოგვიგროვება: სიხარული, სასოწარკვეთა,

336

სიახი. შური, აღტაცება, ლალატი, მოკლედ, ყველაფერი, რა სისტავლევინებს! მანამდე კი, ვიდრე პირში სული გვიდგას, ყველაფერი ცოცხლობს. შენ გამიგებ, ახლახან ფილოსოფოსი კი დაგიძახეს. მომეწონა, გიხდება ეგ სახელი, ანუ ჩვენებულ „კლიიჩა“ . კიდევ დამისხი.

ანდრო. მანდ არის და დაისხი.

დელი. მადლობთ. მასპინძლობაც ასეთი უნდა. გავიხდი რა მასურის, მარტონი ვართ.

ანდრო. არა-მეთქი!

დელი. რატომ მიყვირი? ბრაზიანი კლიენტი სარ, ხომ იცი!

ანდრო. შენ რა პორტის ბოზიეთ იქცევი, რა დაემართა?

დელი. რომელი პორტის, თქვენ რომ გაყიდვას უპირებთ?

ანდრო. შენ რა იცი პორტის ამბავი?

დელი. მე? მე ყველაფერი ვიცი. როგორ გვონია, აქ მარტონია იღიოტური სერიალის საყურებლად დამტოვეს? ბრაზიანიური ფეხბურთია კარგი, კინო — მტრისას!

ანდრო. ვინ დაგტოვა?

დელი. ვიინ?

ანდრო. რატომ?

დელი. რომ არ იცელებო. ასანთით არ ითამაშო, რამე არ არწეო. მოკლედ, როგორმე უნდა დაგიყოლიო, დაგითანხმო, სული მოგაწერინო. ნებისმიერი გზით.

ანდრო. რას ნიშნავს ნებისმიერი?

დელი. შენ, ჩემო კარგო, ჩემი ქმრისგან განსხვავებით, რეაქცია აშკარად დაგევებითებია. შემთხვევით იმპოტენტიც ხომ არ გახნდით? არადა, მახსოვს, რა იღეალური პარტნიორები კოდავით. მანქანებივით ვმუშაობდით. ამერიკული ფილმი გეგოსებოდა. ასე მიბრძანეს და მეც ვცდილობ, ბრძანება შეგასრულო. მითხრეს, ორიეგს კარგი გამოცდილება გაქვთო, შეწყობირები იყავითო, აბა, თქვენ იცითო.

ანდრო. კი მაგრამ... დაიცა, დაიცა. იმან...

დელი. ხო. ჩემმა ქმარმა.

ანდრო. შენმა ქმარმა რა იცის ჩვენი ამბავი?

დელი. მე მოუყევი. დაწვრილებით. არც ერთი დეტალი არ
გამომიტოვებია. შენც ხომ მეუბნეობდი, ნიჭიერი გოგო სართა
ანდრო. როგორ თუ მოუყევი?

დელი. მაშინვე.

ანდრო. ეს იგი...

დელი. დიახ. აგერ უკვე ორი წელია, ჩემმა ქმარმა უკუჭა
ფერი იცის.

ანდრო. კი მაგრამ...

დელი. რატომ მოუყევი? რა იყო დასამალი? ბოლოს უკა
ბოლოს, მეგობრები ზართ, ძმები, როგორც ერთმანეთს მისამართ
თავთ ზოლმე. განა ძმები ერთმანეთს რამეს უმალავენ? ასე რომ,
ვიდრე გავაგრძელებდე, ერთი რამ უნდა გაგანდო, როგორც სწორი
ძველ პარტნიორს ყველაზე დიდ საქმეში, რითაც ადამიანი ჭი-
ერთს დაუსაჩუქრებია. მონასტერში კი არ წაგლ, როგორც სწი-
ლელი გოგოები იქცევიან, არამედ. ზოოპარკში, მაიმუნად შინი-
და აღვიკვეცო.

ანდრო. ამისთვის ზოოპარკში წასვლა შენ, პირადად, ამი-
დაგჭირდება.

დელი. ყველგან ზოოპარკია, არა? ამის თქმა გინდოლი,
ხომ? მართალი ზარ, ყველგან ზოოპარკია, აქაც, სხვათა შეს-
რის. მე ახლა გაცოფებული ლეოპარდის გალიაში ვარ. მაგრამ
მხეცი დაჭრილია, დაჭრილია და უმწეო. თუ უნდა, მივიფერები,
მუხლებზე გადავიწვენ, თუ უნდა, ვაკოცებ კიდეც, როგორც წი-
ნათ, ერთხელ, წვიმიან ღამით, ცოლი რომ გაექცა და მთვრალი
ჩემს მუხლებზე ტიროდა. თუ ახსოვს ლეოპარდს, თუ შერჩა
მახსოვრობა. მხეცებს მაინც ხომ უნდა ახსოვდეთ რამე. როგო-
რ შეიძლება ყველაფრის დავიწვება! ღმერთო, დავვიძრუნებ-
მახსოვრობა, ღმერთო! მე, სულელს, როგორ მიყვარდა ლეო-
პარდი, ჭრელი, ლამაზი, ღონიერი, საცოდვი მხეცი, მარტოდ
მარტო რომ დაეხეტება ამოდენა ზოოპარკში. მოდი ჩემთან, მო-
დი. მე მიყვარ მხეცების კოცნა.

ანდრო. დელი, გეყოფა მატრაბაზობა!

დელი (წამოდგება). დელი რა სახელია!. (ხელებს ჰაერში
კაფარფატებს). გაგიგიათ სადმე? (ციცინის). დელი ო დელია
კაფარფატება. შუბლს შეიკრავს) სჯობდა, ოდელია მოქმედოდა. ო
თელია!. (შესძახებს ჰათუტიკურად. ხელებს აღაყრობს). ო, დე-
ლია! არა, დელი ო დელია აჯობებდა. იმიტომ რომ, სიმღერი-
თანაა, მე კი სიმღერა მიყვარს. დელი დედამ დამარქება. (ხელებს
კაფარფატებს მიატევუპებს, მკერდზე მითდებს. თითქოს ვიღაცას
რაღაცას გზგრებათ). თურმე თურქულად შეშლილს ნიშნავს,
თელი არაბულად, არ ვიცი. რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია,
რომ შეშლილებს ეძახიან ასე. არა, დედას მაგიტომ არ დაურ-
ჩიქითა ჩემთვის ეს სახელი. სიტყვა მოსწონდა. დედას რაც მოს-
წინდა, ყველაფრი კარგი უგონა. მე ეს მერე მითხრეს, როცა
ჩემთვის წლისა გავხდი, როცა ვიკითხე. სხვას რატომ არ პქეია
თელი-მეტქი.

ანდრო. რამდენს ლაპარაკობ. დათვერი.

დელი. მე ისედაც სულ მთვრალი ვარ. სასმელი არ მჭირ-
თხას. პირიქით, სასმელი მაფხისლებს. აი, კიდევ დავლევ ერთს.
მენც დაგისხა?

ანდრო. არა, არ მინდა.

დელი ჭიქით ხელში ოთახს უვლის. გრძელი ნაბიჯებით.
თოთქოს ცეკვებს. კედლებზე სურათებს ათვალიერებს. ბოლოს
წრთხ სურათის წინ ჩერდება. აკვირდება. თითს მიაღებს.

დელი. ეს შენ ზარ, არა? სულ მინდოდა ამის კითხვა და
სურიდებოდა.

ანდრო. მოსარიდებელი რა იყო?

დელი. რას გაეხარ აქ, რა გაცვია!

ანდრო. რას უნდა ვგადე. პატიმარს. ჩაცმითაც ისე მაც-
კა, როგორც პატიმარს შეეფერება.

დელი. ეს ჩინელი ვინ არის, ეგვე პოლიტიკურზე ზის?

ანდრო. ეგ კორეულია. ბანდიტი.

დელი. ეს მეორე?

ანდრო. ეგეც ბანდიტია. თათარი.

დელი. მოკლედ, კარგ კაშპანიაში ზარ. სურათი ვიღამ! //
დაგიღოთ?

ანდრო. ლაგერის უფროსმა. აპარატით დააჯილდოვის //
ებალისებოდა გადაღება. სულ იღებდა და იღებდა. მერე ლექა
ჩემს აჩუქა...

დელი. დედაშენს?

ანდრო. ხო.

დელი. იცი, მე შენ ასეთი მიყვარდი!

ანდრო. როცა ეგ სურათია გადაღებული, შენ მაშინ პლი
წლისა იყავი. ასეთი საცოდავი გიყვარდი?

დელი. არა, ასეთი ძლიერი! არ გეწყინოს, რასაც გეტ! //
მითხარი, არ მეწყინება-თქო.

ანდრო. არ მეწყინება. შენგან რა უნდა მეწყინოს!

დელი. საცოდავი მერე გახდი, მერე, როცა უკვე სუსტი
იჭურდი.

ანდრო. მე არავინ დაშიჭურია.

დელი. მაგრამ მე სულ ასეთი გზედავდი. არ დაიჯერები,
ერთხელ სიზმარშიც გნახ. ჩემს გაცნობამდე ათი წლით ადრე! //
ზუსტად ასეთი იყავი. ასე გეცვა. თოვლში, მორებთან იღები,
ხელში ცული გეჭირა და მიცინოდი. კბილები, კბილები ცუ
ლის პირივით გიბრწყინავდა.

ანდრო. კარგი, ნუ ააფრინე შენებურად!

დელი. აი, არ გჯერა! არადა, მართალს ვამბობ. არავი
სიმართლე არ სჯერა. ამიტომაცაა, ყველა რომ ტყუის. იძუ
ლებულია, მოიტყუოს. თუკი როდისმე რამეს მოიპარავდი, აღ
ბათ ამ სურათს! საწოლთან დავიდებდი. ჩემი სიზმარი მექნებო
და მუდამ ახლოს, აქვე.

ანდრო. იცი, გარეწარია შენი ქმარი!

დელი. ვიცი.

ანდრო. მეც მისნაირი ვარ. არავითარი განსხვავება. ორი
წელია, ჩემი ამბავი იცის და ვითომც არაფერი.

დელი. შენ როგორ გგონია, როგორ უნდა მოქცეულიყო?
ანდრო. უნდა მოვეკალი.

დელი. რატომ? მოსაკლავი მე ვიყავი, იმიტომ რომ მე მიყ
არიდი, შენ კი არა. (სიცილით) სიმართლე თუ გინდა, მე შე
ჩირდინე. ასე არ იყო? გახსოვს? წვიმდა. შენთან მოვედი...

ანდრო. ყველაფერი მახსოვს.

დელი. ის თუ გახსოვს, როგორი წამხადარი იყავი, რო
გორი უმწეო. იატაკზე იჯერი და ბოთლი გეჭირა ხელში. პირ
გორებარსავი. მე, რა თქმა უნდა, დოდო ვიკითხე. შენ აიღე და
სითოლი კედელს შეაჭვენი. შემეშინდა. ყველაფერს მივნედი,
ას მაგას რა მიზედოდა უნდოდა! დაჭრილი ლეოპარდი იყავი,
არა. ლეოპარდის ტყავი. ნებისმიერ ქალს შეეძლო შენგან ქურ
ის შეეცერა. მეც არ გავუშვი შანსი ხელიდან. ჩემს მუხლზე გე
სო, თავი. წვიმდა, გახსოვს?..

ანდრო. რატომ გაჩუმდი? განაგრძე. კარგად ლაპარაკობ.

დელი. ხო, უბედურები კარგად ლაპარაკობენ.

ანდრო. უბედურები?

დელი. შენ მე ბედნიერი გგონივარ?

ანდრო. არა, არ მგონისარ. არის კი საერთოდ ვინმე ბედ
იერი? ვინ მოიგონა ეს საშინელება, ვინ მოიგონა ამოდენა ტყუ
ილი. ტყუილი. ტყუილი. შენც ხომ თქვი, ყველა ტყუისო. აღარ
მუიძლება ასე გაგრძელდეს. დამთავრდება კიდეც, მგონი, რა
რაც. უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე რომელიმე კონკრეტული
უსამიანის ბედნიერება თუ უბედურებაა. გული მიგრძნობს, ვი
რაც მოვა, რომელიც ჩემს მიერ დანთებულ კოცონს, რომელ
თანაც ან სიყვარულს ვეფიცებოდით ერთმანეთს, ან ვატყუებ
თაო, შარდით ჩაქრობს.

დელი. „ახალი ღმერთიო“, თქვა ნიცშემ.

ანდრო. ხოდა, უკაცრავად თვევნთან, მას ძელზე ვეღარ
არავთ, მან უკვე იცის ადამიანის საოცარი ვერაგობის ამ-

ბავი. შეუძლია ჯგარზე აცვას ნებისმიერი პიროვნება სიკეთის, გულისხმიერების, სიყვარულის, თანაგრძნობის სანაცვლოდ, წარადი ამჯობინოს ღმერთს. შენ როგორი განათლებული ხარი დელი. უბრალოდ, სხვა გზა არა მაქვს.

ანდრო. მე ციხეში გვითხულობდი ბევრს...
დელი. მეც ციხეში ვეტითხულობ.

ანდრო. რამდენი ხანია, წიგნი აღარ ამიღია ხელში.

დელი. გახსოვს, იმ დამეს რა მითხარი? ვერ ვიტან ქარის, რომელსაც ქმარი დალატობს, მიყვარს და პატივს ვცემ ქარის, რომელიც ქმარს დალატობსო, გახსოვს? არ თქვა არ მასხსეული, მით უმეტეს, რომ ჩემთვის სულერთია, კაცები მატყუებელი თუ მართალს მეუბნებიან. მთავარია, რომ, მაინცდამაინც, წუნდივარ. ალბათ უფრო მაშინ, როცა მატყუებენ. მაინცდამაინც ჩემთან უნდათ დაწოლდა, ვაღელვებ, როგორც ქალი, ვჭირდები. ასე რომ, რაც უფრო ბევრი მომატყუებს, უკეთესია.

ანდრო. არა, არ მახსოვს ნამდვილად. მხოლოდ ის მასისოვს, რომ ძალიან გამწარებული ვიყავი. ისე, მაგარი ცინიქოს ხარ, რომ იცოდე!

დელი. ვიცი. შენ ის მითხარი, რაც იმ დამეს ჩეუნ შორის მოხდა, მაგის ბრალი იყო?

ანდრო. გულწრფელად გითხრა?

დელი. თუ გინდა, მომატყუე.

ანდრო. კი, მაგის ბრალი იყო.

დელი. ერთადერთი ქალი, ვინც შენ ნამდვილად გიყვარს, დოდოა. მარტო თქვენ არა გაქვთ ალღო, პოლიტიკოსებს. ქალი ყველაზე დიდი პოლიტიკოსია.

ოთახს, თვლებიანი საგარმლით დავითო გადაჭრის. დრო შეს აფრიალებს.

დავითო. გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს თავისუფლებას!

გადის.

დელი. აი, ვინ არის ბედნიერი!

ანდრო. არ გინდა... ნუ...

დელი. კი, ნამდვილად ასეა.
ანდრო. უგეც ცინიზმია.

დელი. რაც შეეხება ცინიზმს, ჩემი თაობა მოწამდებული თაობაა. თანაც არა მარტო გაზით, ცინიზმითაც. მე ბედნიერი მარტო ერთხელ ვიყავი ცხოვრებაში, როცა აპრილში, გამთენისას, რკინის კეტებით გვცემდნენ და ნიჩბებით გვჩებდნენ. ხო. მასის ვიყავი ბედნიერი, თუნდაც იმიტომ, რომ ვიღაცას ისე კისოდა ჩემი, ტანკით მკლავდა. ცინიზმით კი, მარტლაც მოწამდებული ვარ. უკვე გითხარი, აქ რატომაც დამტოვეს, ანუ სურაბალის საყურებლად კი არა, შენ რომ დაგითანხმო როგორმე. ყველანაირი, ყოველგვარი, ნებისმიერი საშუალებით, სურაბით. შენ გგონია, პირებელად მიხდება ასეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური დავალების შესრულება? ჩემი წვლილიც ურეულა, ასე საამურად რომ ვცხოვრობთ, მოკლედ, ვგრიალებთ! არკი დავფიქრებულებარ, როცა შენმა ძმამ და მეგობარშა ცოლობა მოხვენა. მაშინვე დავთანხმდი. სულერთი იყო, გათხოვისა ვიქნებოდი, თუ შინაბერა. ყოველთვის მეშინოდა, ვიცოდი, სხვა სახლში, სხვა ბინაში, სხვა სამყაროში მომიწევდა ცხოვრება: სხვა საწოლი, სხვა მაგიდა, სხვა სკამი, სხვა კარადა, სხვა თეფში... თუმცა, იმის მერე, რაც მამა გარდაიცვალა, ვერარ ვიტანდი ჩენი ბინის, ჩენი აკვარიუმის სიჩუმეს. მახსოვს თამბაქოსაგან გაყვითლებული, მამის გრძელი თითქბი. წიგნები, წიგნები, წიგნები. მამა სულ წერდა, დღე და ღამე. რას წიკრდა, არ ვიცი, არ წამიკითხავს. როცა მოკვდა, ვეღროოში საყვარე მისი ნაწერები და აივანზე ცეცხლი წავუკიდე, თან ვდარაჯობდი, ხანძარი არ გაჩენილიყო. ვტიროდი, ხმამაღლა ვქვითონებდი, თითქოს მამაჩემის ცხედრის კრემაციას ვესწრებოდი. საჭმობიდან დედის ოთახში მეშინოდა შესვლა, თითქოს იქ გრეხო ვიღაც დამზვდებოდა. დედას ხშირად ვხედავდი სიზმარ-

ში. ბოლოს ამ რამდენიმე წლის წინ დამესიზმრა. მოსუცი. || .
გიდასთან მიდგმულ სკამზე ენციკლოპედიის ტომები დაეჭირები
ბინა და ზედ შესკუპებულიყო. პასიანს შლიდა. ხელი კამის
ნია. ვიცოდი, დედაჩემი იყო, მაგრამ ვერ ვცნობდი. მე ხოლ || .
ხუცი დედა არ მინასავს! პატარა ვიყავი, როცა გარდაიცვეს.
მერე აღარ დაშიძიშმრებია... ამჟამად ერთადერთი მახლობელი
ადამიანი მყავს, ოღონდ იპოდრომზე ცხოვრობს, თავლაში, შე
ნი ნაჩეუქარი ცხენია, შენი სახელი დავარქვი. ანდრო, ვერუნიკი
ლები ხოლმე: ანდრო, ჩემი ჭკვიანო ბიჭო...

ანდრო. გმადლობ, ჩემი სახელი რომ დაგირქვევია.

დელი. გერებინა?

ანდრო. პირიქით ძალიან დიდი და კარგი წარმოლენი. || .
გქონია ჩემზე. გულწრფელად გეუბნები. ასეთი პატივი ცხრე
რებაში არ მღილისებია.

დელი. ხო, გამახსენდა! კიდევ ერთხელ ვიყავი ბედნიერი
ისიც სიზმარში. ვითომ ბოშა გოგო ვარ, ასე თორმეტ-ცამეტი
წლისა. ხელში ბაჯშვი მიჭირავს, შიშველი, სხვისი. თან გზაში
ვარედინზე, შეუნიშანთან მანქანებს დავდევ, უჟელს ვთხოული
და... ძალიან ბედნიერი ვარ. დათოს მოუყევი ეს სიზმარი...

ანდრო. ჩემს დათოს?

დელი (პატის შემდეგ). მითხრა, ისედაც ბოშა ხარო. აღ
ბათ ჩემს უტვინო ბედნიერებას გულისხმობდა, რითაც სულ
მთვრალი ვარ, უღვინოდაც. ხომ გითხარი... (სიგარეტს უქ
დებს). მისი თავი ესვენა ჩემს გვერდით, როგორც ორდენი
ხავერდის ბალიშზე. მართლაც, ის იყო ყველაზე მაღალი, ყვე
ლაზე ძვირფასი და სასურველი ჯილდო, ჩემს არსებობას რო
ამართლებდა. მე მალე შენი რძალი გავხდები. ჩემს მუცელს
თავმიღებულს სძინავს ხოლმე. „სამოთხის ბალიშს“ ეძახის...

ანდრო. რა თქვი? ყველაფერი ყველაფერი და ასეთი ხუ||

რობა...

დელი. არ ვხუმრობ. მე იუმორის გრძნობა არა მაქვს.

ანდრო. რას ამბობ, გესმის?

დელი. როგორ არა, როგორ არა...

ანდრო. ათი წლით უფროსი ხარ, შე კახპა, შენა...
დელი. სწორედ მის ასაკშია ნამდეილი გრძნობა...

ანდრო. ...გამოცდილებით კი მთელი საუკუნით! გაგიჟდი?
დელი. ახლა თბილისში ზის და ჩემს ზარს უცდის. (სიგა-
რეტიდან უკიდებს ახალ სიგარეტს). მოვიდა მგერდგაღელილი,
სარტყელი, თვალებგაღმოყრილი. მიყვარხარო, დამიჩოქა. აღარ
შეისძლიაო. ცოლად გამომყევიო. გუგიქცეოთ. გავიძაროთო. გა-
თავიკარგოთ საღმეო.

ანდრო. და შენც მაშინვე მიცეი არა?

დელი. ხო, მივეცი, მივეცი! არ უნდა მიმეცა? (პაუზის შემ-
დეგ) ბავშვს ელოდები...

ანდრო. — ვის?

დელი. ბავშვს. რა გაგიკვირდა? (პაუზა). შენ ვინ გვეონა?
(პაუზა). ვინ გვეონა-მეთქი?

ანდრო. ვინ მეგონა? აფთარი! ნიანგი! რა ვიცი... დინ-
ი.ერი!

დელი. რა ხუმარა ხარ!.. ვუყვარვარ.

ანდრო. შენც გიყვარს?

დელი. მე არავინ მიყვარს. ოღონდ მირჩენია იმასთან ვი-
წევ, ვისაც ვუყვარვარ. ხო, მოდი, გამარტყი, მოდი. ხომ გინდა,
რომ გამარტყა! (მობილური რეგავს). ჩემია! (შარვლის ვიაბი-
რინ იღებს ტელეფონს). გისმენ? ხო, ჩამოვალ. (ტელეფონს ჯი-
ბები იღებს) აბა, წავედი. ვეტყვი. რომ უარზე ხარ, არა? არ
ასისის, რას გეუბნები?

ანდრო (ჩუმაღ). წადი, წადი, წადი აქედან...

მეორე მოქმედება

ბნელა. ისმის. კარს აღებენ.

შმები კართან:

დოდო (კისკისებს). რამდენი დავლიე! კარგი, გმუოუბა, წე
მიშვი. რატომ მაძალებდი? გვეყოფა-მეთქი!

ანდრო. დააცადე!
დოდო. მოგენატრე?

შუქი ინთება.
ანდრო ჩანთას კართან დებს.

დოდო. კიდევ კარგი, თვითმფრინავმა არ დაიგვიანა, უ კოველთვის მენატრები, მაშინაც კი, როცა ერთადა ვართ.

ანდრო. ოპო, ეს რაღაც აზალია. ოცდახუთი წლის მერე.

დოდო. რა არის ოცდახუთი წელი — არაფერი! მთავარი, მენატრებოდე.

ანდრო. ამ დილით რომ დარეკე, მოვფრინავო, გული წე დამიტრიალდა, აფად ხომ არ არის-მეთქი. აკი მთელი თესა იყავი წასული? ყოველთვის მეშინია, მგონია, შორისა ხარ, უ ოგრაფიულად კი არა. ისე, როგორ აგიხსნა, ძალიან შორისა ხარ.

დოდო. მაინც სადა ვარ, როგორ გგონია?

ანდრო. არ ვიცი. უცნაურ რაღაცას ვამბობ, თვითონ მიკვირს. არასოდეს მიფიქრია ასე. რაღაც ხდება ჩემს თავს,

დოდო. თუ ჩემს თავს ხდება რაღაც?

ანდრო. როგორ არ მიყვარს ეგ სიტყვა — „რაღაც!“ რაც დენიმე სიტყვის მეშინოდა ბავშვობიდან, ერთ-ერთი ეგ არას. უამრავ ხიფათს ნიშნავს.

დოდო. ხომ შეიძლება, უამრავ სიხარულსაც ნიშნავდეს!

ანდრო. არა, ეგ სიტყვა, ანუ „რაღაც“, ნიშნავს მხოლოდ ცუდს. ამქვეყნად ცუდი მეტია, ვიდრე კარგი. მათ შორის, უ წარმოიდგინე, კველაზე უმტკივნეულო და ალბათ სასურველო — სიკვდილია.

დოდო. დაიწყე ისევ შენებურად. ჯერ შემომადგმევინე ჩემის სახლში ფეხი! გეტყვი და გეწყინება — სისულელეა ასეთი ლა!

346

არაკი. თანაც ჩვენი შესანიშნავი ქეიფის მერე. რამდენი ზანია სე და შენ რესტორანში მარტონი არ ვყოფილგართ. გმაღლობ. ძალიან ვისიამოვნე. დავლიე კიდეც. ახლა თუ შემარგებ, კიდევ უყრო მადლობელი ვიქები. რა დროს სიკვდილია. აბა, გე-კადრება? თუ გამუდმებით სიკვდილზე იფიქრებ, მშვიდად ვერ უ ხოვრებ.

ანდრო. მაგრამ ალბათ საერთოდ ვერ იცხოვრებ, თუ სიკედილს დაიგიწყებ. მართლაც, რა დროს ასეთი ლაპარაკია — თლესასწაულია ჩვენს სახლში. თანაც მოულოდნელი. შენს ჩამისვლას ვზიდიმობთ. მე კი... ეს ალბათ დიდი სიხარულის ბრაზია, დიდი სიხარულის დროს გახსენდება ხოლმე სიკვდილი. არ გვინდა, არ გვინდა, სიხარული როდისმე დამთავრდეს და ასეთომ. დმეროო, ცოტა ხანს კიდევ მამყოფე, მომატყუე, რომ ყადხანს ვიქები ასე.

დოდო. დმერთმა ტყეუილი არ იცის, ჩემო კარგო. არ მომწანს შენი ლაპარაკი. ნამდვილად რაღაც შეგვემთხვა და მიმალაჟ.

ანდრო. არა, არაფერსაც არა გიმალაჟ. განა როდისმე შენ-თესის რამე დამიმალაჟს? მე თვითონვე არ მომწონს ჩემი ლაპარაკი, თითქოს სხვა ვიღაც ლაპარაკობს ჩემ მაგივრად. ხომ კათხარი, დიდმა სიხარულმა იცის შიში-მეთქი. კაცი კი, ჩემო ქაირფასო, მშიშარა არსებაა, ლაჩარია.

დოდო. შენც, შენც ლაჩარი ხარ?

ანდრო. ხო, მეც (სიციოლით) ვითოშ მე რა წითელი კოჭი ქარ!

დოდო. ოპო?

ანდრო. კი, მეც ლაჩარი ვარ. შენს დასახვედრად რომ მოყენოდი, ვფიქრობდი, ნეტავ იმქვეყნად თუა სიცოცხლე-მეთქი, თუ ყველაფერი უცებ მთავრდება, თვალს დახუჭავ, ან დაგიხუცეუნ და გათავდა.

დოდო. შენ აფად ხომ არა ხარ. აბა, შუბლი მაჩვენე! არა, სიცხე არა გაქვს. რა დაეგმართა, როდის გაინტერესებდა იმ-ქავენის ამბავი, ან რა საინტერესოა ეგ!

ანდრო. სისულელები მომდინარეთი თავში, ხომ გითხის.
რი. კარგი ღვინო იყო, ღვინომ ამალაპარაკა.

დოდო. სხვათა შორის, ხორცის შეწვა აკლდა ცოტა.
ანდრო. შენ, ჩემი ბატონი, პარიზის მერე რა მოგეწონიშა?
დოდო. არა, უბრალოდ მე უკეთ ვწვავ, იმედია, დამწავის
ხმები.

ანდრო. დაგეთანხმები კი არა, ერთი სული მაქვს, ქურის
როდის დაუტრიალდები შენებურად. ღორმუცელა არა ვარ, ჩავ
რამ შენს შემწვარ ხორცის ახლაც კი გემრიელად მივირთმეულა
ხოდა, იმას ვამბობდი, არაფერიც არ არის იმქვეყნად...

დოდო. რა თქვი?

ანდრო. ყრუ სიბნელე, მეტი არაფერი.

დოდო. ვერ გავიგე?
ანდრო. არაფერი-მეთქი.

დოდო. რა იცი?

ანდრო. ვიცი ალბათ.

დოდო. ისე ლაპარაკობ, თითქოს ნამყოფი იყო იქ.
ანდრო. შეიძლება ვარ კიდეც...

დოდო. რატომძაც გამოცვლილი მეჩვენები. შეშინებული
ანდრო. შეშინებული?

დოდო. ვიღრი მე შენს გვერდით ვარ, ნურაფრის შეგეშის
დება. საერთოდ, რატომ უნდა შეგეშინდეს, რამეს ხომ არ მიშა
ლავ?

ანდრო. დოდო, იცი, დათოს ამბავმა თავზარი დამცა.
დოდო. ეტყობა, დელისგან არ ელოდი ასეთ ღალატს.

ანდრო. ღალატს?

დოდო. არა, სხვა რაღაც უნდა მეთქვა. ნუ მიიტან გურ
თან ახლოს. დათო ჯერ ბავშვია. მაღვე გამოფხიზლდება. შე
გგონია, დელი ჩვენს შვილთან დიდხანს გაჩერდება? არ დაიკუ-
რო!

ანდრო. იმის ქმარს როგორ შევხედო თვალებში, ბააღური
რა ვუთხრა?

დოდო. არაფერი. შენც იმდენი იცი მაგ საქმისა, რამდენიც
არა.

ანდრო. ბავშვს ველოდებიო...
დოდო. დელიმ გითხრა?

ანდრო. ხო, გუშინ იყო აქ, ქმართან ერთად.
დოდო. ესე იგი, ცოლ-ქმარი გესტურნენ და ერთად შე-
საცილებეს, თქვენი ვაჟისგან შვილს ველოდებით და როგორ
მუკიცეთო?

ანდრო. მე არ მეზუმრება, არ არის ეს სასაცილო. არა,
ქმართან ერთად არ უთქვამს. ბააღური წავიდა ცოტა ხნით.
მარტენეს.

დოდო. კიდევ კარგი. თუმცა მაგისთანა ქმარს არც უნდა
მოურიდოს ქალი.

ანდრო. როგორ ქმარს? გავახსენო ჩემს მშვენიერ ქალბა-
რისას ერთი ამბავი, თუ არა?

დოდო. ეგ დიდი შეცდომა იყო. ვაღიარებ. დამიჯვერე, მე
საქონეის არასოდეს მიღალატია. შეცდომა კი ნამდვილად იყო,
თავაკ ისეთი, რომელიც ცოლს არავითარ შემთხვევაში არ უნ-
დო. აპატიო. მაგრამ თუ აპატიებ, ალარ უნდა გაახსენო. შენ-
თქმასა ცუდი. ერთ რამესაც გეტყვი, ოღონდ, რასაკვირველია,
თუს არ ვიმართლებ: ყველა ქალი, რომელიც ორმოც წელს
კახლოდება, შეიძლება ასე შეცდეს. ეს ქალისთვის ძალიან
ერთი კული ასაკია. მე ამ ასაკიდან უკვე ექვსი წელია, გამო-
ქმო.

ანდრო. ზუსტად თექვსმეტი წლითა ვარ შენზე უფროსი!

დოდო. არასოდეს მიგვრძენია... სხვათა შორის, მეც დე-
რისებ, ანუ ჩემს მომავალ რძალზე, თექვსმეტი წლითა ვარ უფ-
რისას. ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეს მისგან ასეთი რამ. ძალი-
მაკ კარგი, შვილს რომ აჩენს. ეს იქნება მისგან ერთადერთი
კარისული საქციელი.

ანდრო. შენ ეს ამბავი იცოდი?

დოდო. რასაკვირველია! დელი ამ სასიხარულო ამბავს მე

დამიმალავდა? მოკლედ, უგ ბავშვი ჩემი გასაჩრდელი იქნება, ბოლოს. წინააღმდეგი არა ვარ. პირიქით, მიხარია კიდევც, შემ ლივით გავზრდი შეილიშვილს. მარტო ღმერთს შეუძლია ჩილ თი ძვირფასი საჩუქრით დაგაჯილდოვოს.

ანდრო. შეილივით? რაღაც არ მეშმის შენი ქართულად...

დოდო. ყოველთვის მინდოდა, ბევრი შეილი მყოლოდა, (III ცილით) მაგრამ შენ ბავშვების კეთებას, ციხეში ჯდომა არის რაც შეზება ღალატს, ღალატი ძალიან პირობითი ცნებაა, (IV ბოლო აქვს, ერთი თუ ღალატად აღიქმება, მეორე, შენ წარისა იდგინე, ერთგულებად, ზოგჯერ გმირობადაც კი. შენ პოლიტიკოსი ხარ და ნუთუ არ იცი, რომ ისტორია სავსეა ასეთი. ერთდროულად მოღალატე და გმირი პიროვნებით!

ანდრო. ნუთუ პოლიტიკოსების მეტი აღარავინ ჭირებული ქვეყანას?

დოდო. მე მეკითხები?

ანდრო. დღეს ყველა პოლიტიკოსია...

დოდო. პოლიტიკა, ჩემო კარგო, არითმეტიკასავით, (I) დებით იზრდება. ასე რომ, ჩენც, ჯერჯერობით, ყველას კასა ღატობთ, ანუ სხვანაირად — ერთგულები ვართ ყველასი. ამა მიანურ ენაზე ეს ნიშნავს, რომ ჩენ ჩვეულებრივად, შეიძლება ითქვას, ნორმალურად უცხოვრობთ.

ანდრო. როგორ მშვიდად ღაპარაკობ...

დოდო. შენ რაღამ შეგმალა?

ანდრო. შეილი გვეღუპება, გული მიგრძნობს.

დოდო. ნუ გეშინია. რა მოხდა, ოცი წლის ბიჭს გორუ, მოწინა. დელი ძალიან ღამაზი გოგოა, მაგას ვერ წაართმება! ანდრო. ათი წლით უფროსია, ათი წლით!

დოდო. ბაადური, ანუ შენი მეგობარი, თავის ცოლზე, ასე დელიზე, ოცდათორმეტი წლით არის უფროსი!

ანდრო. მერე რა მოიგო ამით?

დოდო. ბევრი რამ, ბევრი რამ და ეს შენ ძალიან კარგო: იცი. ბაადური საერთოდ იმას აკეთებს, რაც ჭირდება.

ანდრო. დელი ჩემი მეგობრის ცოლია, ეს არაფერია? არა-უკანა არ მოხდა, არ უნდა შევიშალო? ხალხი რას იტყვის, ხალხი!

დოდო. ჩვენი რა ბრალია, ჩვენ ხომ არ ვუბიძეთ დათოს სულისკენ. ეს ისეთი რამ გახლავს, არავინ დაზღვეული არ არის სისიგან. ყველაზე ადვილად ადამიანებს მეგობრობა ავიწყდებათ. ასე რომ, ასეთი შეცდომა ახალგაზრდებს კი არა, საკმარის ხანდაზმულ და ჭკვიან ადამიანებსაც მოსდით.

ანდრო. დოდო!

დოდო. და, სხვათა შორის, რომ იცოდე, ყველაზე მეტად მათურს აძლევს ეს ხელს. შეიძლება მადლობაც კი გვითხრას. სისიგან ასეთი რამ მოულოდნელი არ იქნება. კარგი, გვეყოფა, ასეთი ნუდა ვილაპარაკებთ. შენც რამდენჯერ უღალატე შენს თაქ, დასიდენტობიდან პირდაპირ ხელისუფლების სავარძელში წარადგინდი. ყოფილი დასიდენტი, ყველაზე მეტად ამქვეყნად თასისიციონერებს უერ იტან, დასიდენტებს, ანუ სხვანაირად მოშერულებს. ხომ მართალია? ასე რომ, ნუ იკლავ თავს.

ანდრო. რატომ გაგახსენდა ეს სიტყვა. დალატი! გვამი-კა ამოტივტივდა მოულოდნელად, უტყუარი სამხილივით. მართალი ხარ, ჩემს თავს ვუღალატე, ჩემს რწმენას. მამაჩემმა მახსურობა დაკარგა, რწმენა შეინარჩუნა.

დოდო. გაუმარჯოს თავის უფლებას! ამას გულისხმობ?

ანდრო. ხო, ამას ვგულილ სხმობ.

დოდო. ეგ ჩემო კარგო, ზღაპრებია.

ანდრო. არა, სიმართლეა, ისეთივე აუცილებელი, როგორც იური. პური ჩვენი არსობისა.

ისხამს კონიაკს.

დოდო. მეც დამისხი. იცი თუ არა, თუმცა, როგორ შეიძლება არ იცოდე. მახსოვრობა ზოგჯერ დამღუპველია.

ანდრო. პარიზში გასწავლეს ასეთი ღაპარაკი?

დოდო. ო, პარიზში ბევრი რამის სწაულა შეიძლება.
ანდრო. ეს კაბა გიხდება ძალიან.

დოდო. გმადლობ. ეს კაბა მაღამ რომენის ატელიეში შევი. კურუ. გიხდებათ, მითხრა, მარტო თაყვანისმცემლების შრეობა
აკლიაო. ფრანგების ამბავი სომ იცი! ამას შინ ჩაფიცვამ-შევი
ქი. გაუკვირდა: მადამ, ეს საგარეო კაბაა, ვერსალში ან რაჭი
რაში უნდა ჩაიცვათო. ქალბატონო, ვისაც მე თავს ვაწონები
შინა მყავს-მეთქი.

ანდრო. კი, ძალიან გიხდება.

დოდო. ამ კაბას რომ ვიზომავდი, იქვე, სარკის წინ, ისე
მომენატრე, აღარ შემეძლო პარიზში გაჩერება. ატელიელამი
შეეუკვეთე ბილეთი. კიდევ კარგი, ჰქონდათ. ვიღაცას დაებრუ
ნებინა. იცი, ვინ შემწვდა პარიზში? ანთაძის ცოლი!

ანდრო. ისიც კაბას იკერავდა?

დოდო. არა, ისე იყო, იმათაც სომ „ქოხი“ აქვთ იქ. რა
პქვია, დამაიწყდა... ხო, მგონი, ნინო. ჩვენ, აქედან ჩასულები,
დაახლოებით ერთსა და იმავე ადგილებში დავდივართ: ატელიე-
ები და მაღაზიები, ეს არის და ეს. ჩამოსულებს ჩვენი პარიზი
გვაქვს. ხო, რა მითხრა, მოკვედი სიცილით, იმ დროსო, ქმარი
გორილას ნიღაბს ვაფარებო.

ანდრო. რა დროსო?

დოდო. ვერ ხვდები?

ანდრო. ხოო, უყურე შენ! ვგ ეგუტის ცოლი არ არის?

დოდო. კი, ეგუტის ცოლია.

ანდრო. მერე მის ქმარს რაღა გორილას ნიღაბის გაკეთები
ჭირდება?

დოდო. ახლა, რაც შეეხება ხალხს. სად არის ხალხი? უარ
ატყობ, ხალხი რომ გაქრა? დარჩა მხოლოდ ურჩი გადამსყი
ლი და მორჩილი ამომრჩეველი. ასე რომ, ნუ იკლავ თავს.

ანდრო. როდის იყო, შენ პოლიტიკაზე ლაპარაკობდი?

დოდო. ეს თუ პოლიტიკა იყო, არ ვიცოდი. დაიცა ერთი
წუთით.

გადის მეორე ოთახში. ცოტა ზნის მერე გამოაქვს ჩონგუ-
რი.

დოდო. ეს თუ გახსოვს?

ანდრო. ლმერთო!

დოდო. ხო, დედაშენის ჩონგურია.

ანდრო. კი მაგრამ, სად იყო აქამდე, სად გქონდა შენახუ-
რი?

დოდო. არსად. უბრალოდ ყურადღებას არ აქცევდი. წას-
კლის წინ ჩემს საწოლზე დავტოვე. ეტყობა, ჩემს ოთახში არ
შესულხარ.

ანდრო. არა, არ შევსულვარ.

დოდო. საოცარი ტკბილი ხმა ჰქონდა ქალბატონ ბაბის...
(დაჯდება. ჩონგურზე დამღერის)

ჩემს შეიღიოს ეძინება,

იავნანიაო,

დედის მკერდში ჩაუყვია პატაწა ხელიო,

ტყეში, თოვლზე გირწევ აკვანს,

ნანა, ნანინაო,

დაიძინე გენაცვალე,

იავ ნანინაო.

ანდრო. ტყეში, თოვლზე გირწევ აკვანს... იცი, დედამ ციმ-
ასრში რომ ჩამომაყითხა, ლაგერში იმღერა ეგ ლექსი. პატიმ-
რები გაგიუღნენ, ასეთმა პატარამ, ჩიტიყით ქალმა ამ თოვ-
ლში, ამ ყინებაში, ამ ქარბუქში აქამდე როგორ მოაღწიაო. ყვე-
ლაზე საკვირველი, იცი, რა იყო? რომ მახსენდება, ცრემლის
კორგალი მახრიბს, ჩონგური წამოელო თან! ბავშვობაში მიმ-
ლეროდა ხოლმე. და იქ, ბარაკში, აქოთებულ საყინულებში, კარ-
თან დაჯდა და სწორედ ეგ ლექსი იმღერა. მას მერე ვერა სიტყვა
მასხოვს მაგ ლექსისა. ვერა მოჯადობულივით უსმენდა. შე-
ლოცვასავით იყო. ჩვენი ლაგერის უფროსი ახლდა, უცნაუ-
რად გადასხვაურებული, გადამიანებული. პირიც კი გაეპარ-

სა. ისე მოწიწებით ექცეოდა დედას, ისე ელაპარაკებოდა, იყენებდი, სხვა კაციათ.

დოდო. კიდევ გიმლერო?

ანდრო. არა. მაღლობთ. ამალელვე... (პაუზა). მკერდზე თუმა მომადებდა და მეტყოდა: აი, აქ პატია ჩიტი ცხოვობსო. და სტის, ჭიკჭიკებს. შენს ცრემლებს კენკაგსო... ცრემლს მანდ რა უნდა, დედიკე-მეთქი. ცრემლი გულიდან იბადებათ...

დოდო (წონგურს გვერდზე გადალებს). მე შენთვის არასოდეს მიკითხავს, რა სახსრებით მოვიარე მოული ევროპა. პირველი კლასი. სუთუარსკვლავიანი სასტუმროები. პარიზის შესლებულთა რაიონში საკუთარი ბინა. ჩვენ ხომ არც უშესეწილი გვიგრძენია, არც სიცივე. არ მიკითხავს, რა საშუალებით კულურობ ყველაზე სახელგანთქმულ მაღაზიებში სუნამოსა თუ საწილას, ფეხსაცმელსა თუ საცვალს, ვიკერაჟ კაბებს მსოფლიოში ცნობილ მოდელიერებთან. ვიცი, ეს ჩემი საქმე არ არის, ამიტო მაც არ გვკითხები. თანაც ისიც ვიცი, ყველგან, ყოველთვის, ყველაფერში შენს გვერდით უნდა ვიყო. ისე უნდა მოვიქცე, რომ გორც შენ მიგაჩინია საჭიროდ. მე ახლა უბრალოდ დავინტერესი დი, რა ხდება. ნუთუ რამე შეიცვალა ჩეგნს ცხოვრებაში? გატეობ, იტანჯები. გული მიგრძნობს, რაღაც გაწევლებს. მე ვერ და მიმალავ, ვერ მომატყუებ. ერთს კი გეტყვი, ისე ყოველ შემთხვევისთვის: სინდისიც, ღალატიით, ძალიან პირობითი ცნებაა. რა ერთისთვის სინდისიერია, მეორისთვის უსინდისობაა და ასე შესძეგ. ამიტომ ნუ მოიკლავ თავს ამაზე ფიქრით.

ანდრო. სინდისი?

დოდო. ხო. ყველაფერი ამაოა. ესეც იცოდე. მით უშესეს, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ჭკვიანმა კაცმა თქვა ეს. მაპატიე, ჭკუას გარიგებ თითქოს, არადა, ყველაფერი შენა გან ვისწავლე. მაგრამ გატყობ, რომ გჭირდები.

ანდრო. შენც უნდა მაპატიო.

დოდო. გაპატიო? რა გჭიროს საპატიებელი? ნამდვილად რაღაცას მიმალავ.

ანდრო. შენ შემრჩი მხოლოდ ამ ქვეყანაზე, დოდო, ჩემი საძირიდო, ჩემი გამგები. შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს ჩვენი ცხოვრება...

დოდო. დაშვიდდი. რა მოხდა. რატომ უნდა შეიცვალოს? ანდრო. ისედაც გაიგებ.

დოდო. იქნება...

ანდრო (პაუზის შემდეგ, დაუშებული). რა იქნება?

დოდო. არაფერი... რა გადაწყვიტე, თანაც უჩემოდ?

ანდრო. საშინელება!

დოდო. მაინც, მაინც? მე შენ ყველაფერს გაგიგებ. შენთან ერთად ვიქნები ყოველთვის, რაც არ უნდა მოხდეს. ეს იცოდე. სხვა შენი ნებაა. ოღონდ ესეც უნდა გითხრა, მეშინია, ნაჩქარებად ხომ არ გადაწყვიტე რამე. არ გეკითხები, რა გადაწყვიტე, რადგან არ მეუბნები, ეტყობა, ასეა საჭირო. ოღონდ, კარგად უკიდურეს ფიქრები, ვიდრე გადაწყვეტილი?

ანდრო. შენ არაფერი იცი და არც მინდა, იცოდე. მეშინია, არ შემიძლო, როცა გაიგებ. ეს იქნება ყველაზე დიდ უბედურება, რაც კი შეიძლება დამემართოს. ოღონდ...

დოდო. თქვი, თქვი, რა ოღონდ?

ანდრო. შენ, შენ უნდა იყო ჩემთან. მაღლობელი ვარ, რომ სასოხვედი. მაღლობელი ვარ, არაფერს რომ არ მეკითხები. მაგრამ იცოდე, რასაც მე ვაპირებ... როგორ გითხრა? შეიძლება ყველაფერი ეს (პაერში წრეს შემოხაზავს) ერთაბაშად, უცებ უაყეცარგოთ.

პაუზა.

დოდო. აქეთ რომ მოვფრინავდი, იცი, რაზე ვიჟერობდი? სასირთმა თუ მშეიძობით ჩამიყვანა-მეთქი... ძალიან მეშინია თევზითმფრინავის...

ანდრო. რაზე ფიქრობდი?

დოდო. რაზე და... მოდი, ჯვარი დავიწეროთ მე და შენ!

ანდრო. ჯვარი დაგიწეროთ? ეს კიდევ რაღაც ახალი ამინა ვია! ოცდახუთი წელია, ცოლ-ქმარი ვართ, ახლა დაგიწეროთ ჯვარი?

დოდო. ერთხელ, არ მახსოვს როდის, არც ის მახსოვი, სად, ერთი მიყრუებული სოფლის ეკლესია ვნახე. ბაზილი, საფლავის ლოდები, ბალახში ჩაძინებულებს რომ პეგვანან. მა წია ღრმულები ლოდებზე, ჩიტმა რომ წყალი დალიოს და ყვი ერთს შექვედოს. ცაცხვის ხე. იქვე ძროხა ძოვს ბალახს. აი, ასეთ ეკლესიაში მინდა დაგიწეროთ ჯვარი, ღმერთის წინაშე ვიქოშ ცოლ-ქმარი (სიცილით), ღმერთს შევხედოთ! მარტო მე და შემ წავიდეთ. სოფელში მოწმების მეტი ვინ იქნება!

ანდრო. ის თუ იცი, დათო რომ წერს ლექსებს?

დოდო. როგორ არა, ერთხელ წამიკითხა კიდეც.

ანდრო. მერე?

დოდო. — მერე ის, რომ მშვიდად იყავი, ეგ სახალიურა, უფრო მეტიც, ონანიზმით, რაც, ექიმებს თუ დაუუჯერებთ, გარ პევეულ ასაკში სასარგებლოც კია, ოღონდ, თუ დროზე არ დას ნებებ თავს, შენს მტერს!

ანდრო. აი, ეს წერილი დაგვიტოვა. გიმალავდი. მაგრა! შეელაფერი გცოდნია (კითხულობას). წავედით. არ გვეძებოთ,

დოდო. ჰო, ჰო, ჰო, რა დაუწერია! მოვესწორ ბიჭი! უნდა გიხაროდეს, რა ცხვირი ჩამოგტირის!

ანდრო. ხო, უნდა მიხაროდეს, მართალი ხარ.

წევს წერილს.

დოდო. შენ რა, ტირი? აბა, დამენახვე! ამას კი არ ველო დი! ვერც წარმოვიდგენდი, შენ თუ ტირილი შევეძლო. საერთოდ ეტეობა, მართლაც, რაღაც საშინლება ხდება ჩვენს თავის, წავალ, ტანსაცმელს გამოვიცვლი. მოვშინაურდები. მოშენაურა აქაურობა. თუმცა, უნდა გითხრა, წყნეთი არ მიყვარს, ჩემი თბილისური ბინა მირჩევნია. ხვალ ჩავალ იქ (სიცილით), ოღონდ

ლელისა და დათოს საძებნელად კი არა. დათო მაღლე თვითონ საგვიწყებს ძებნას, გამწარებული. დაიხსომე ჩემი სიტყვა. გადის.

ანდრო მარტო. აღელვებული, აწრიალებული. ოთახში ბოლთას სცემს. ფანჯარაში იხელება ხშირ-ხშირად. მობილურზე რეკავს.

ანდრო. ვაუა, ამოდი! (შემოდის ვაუა). ვაუას ვახლავარ, როგორა ხარ, რას შვრები, როგორ მიდის საქმე?

ვაუა. აეროდრომზე რომ არ გამიყოლეთ, საყვედურს მეტყუან, ბატონო ანდრო.

ანდრო. ეგ არაფერი. მაგას მოვაგვარებ. დღეს ვინ და ვინა სართ, შენ და იღო?

ვაუა. არა. იღო დღეს გამოცვალეს.

ანდრო. ვინ გამოცვალა?

ვაუა. რა ვიცი, ჩვენმა ოცეულის მეთაურმა ალბათ.

ანდრო. მის მაგივრად ვინ არის?

ვაუა. მის მაგივრად ლერია.

ანდრო. იცნობ?

ვაუა. როგორ არა, კარგი ბიჭია.

ანდრო. იღოს რა დაემართა?

ვაუა. იღოს? არ ვიცი, რაღაც დაავალეს ალბათ.

ანდრო. მე არ მკითხეს? უწევმოდ ჩემი მცველი სად გაუშეს?

ვაუა. არ ვიცი, ბატონო.

ანდრო. რას უდგახარ, დაჯექი. ჭადრაკის თამაში რომ იკოდე, გეთამაშებოდი.

ვაუა.. ჭადრაკი არ ვიცი, ბატონო.

ანდრო. კარტი?

ვაუა. სეკა!

ანდრო. მაგას ციხეში ვთამაშობდით ზოლმე.

ვაჟა. ციხეში?

ანდრო. დიახ, მეც მქონდა კარგი ლოც. შენ სად დგასარებული ვაჟა. მე კიბესთან ვარ, ლერი ბაღშია.

ანდრო. ერთი მაგასაც დამიძახე. თუმცა, არა, არ არის საჭირო.

ვაჟა (წამოდგება). აბა, დამე მშვიდობისა, ბატონო, ლაფური, კარგად იქნება, მშვიდად იყვაით.

ანდრო. კი, კი, წადი.

ვაჟა წასვლას დაპირებს, მაგრამ კართან შეჩერდება. მოწირიალება.

ვაჟა. იცით, ჩემს ბიჭს...

ანდრო. ოპო, ბიჭი გყავს? კოლეგები ვყოფილვართ!

ვაჟა. დიახ, სამი თვის გახდა გუმინ.

ანდრო. აბა, მოგ სწრებია ვაჟკაცი!

ვაჟა. თქვენი სახელი დავარქვი.

ანდრო. რას მეუბნები? მაღლობთ. მამაშენის სახელი რა ტომ არ დაარქვი?

ვაჟა. თვითონ მამაჩემმა მირჩია ასე.

ანდრო. მაღლობა გადაუცი მამაშენს. კარგი, საქმეს მისწერ.

ვაჟა კართან ისევ შეჩერდება.

ვაჟა. თქვენ მართლა ციხეში იჯექით, ბატონო? არ ვიცოდი.

ანდრო. კი, ვიჯექი და ბეჭნიერიც ვიყავი მაშინ.

ვაჟა. განა აზლაც ბედნიერი არა ხართ, დიდი კაცი ბრძანდებით, ქვეყნის ბედი გაბარიათ.

ანდრო (საცილით). ამიტომაცაა ქვეყანა უბედური! კარგი, კარგი, გეხუმრები.

ვაჟა. დამე მშვიდობისა, ბატონო.

მიღის.

ანდრო ცოტა ხანს ჩაფიქრებული ზის. მერე ისევ ბოლთას სუკებს. ფანჯარასთან ჩერდება.

გამოდის საშინაოდ ჩაცმული დოდო.

დოდო. ვინ იყო, ვის ელაპარაკებოდი?

ანდრო. ვაჟას შვილისთვის ჩემი სახელი დაურქმევია, იცოდო?

დოდო. რომელ ვაჟას? ააა, მავის სათქმელად მოვიდა?

ანდრო. დოდო, რაღაც სუნთქვა მიჭირს, რა დამემართა. საურიც მოწამლულია ვითომ?

დოდო. კარგი ერთი, რატომ უნდა იყოს ვითომ მოწამლული?

ანდრო. იმიტომ, რომ ყველაფერი მოწამლულია: პური, მაქარი, კარაქი, ხორცი... რა ვიცი, ყველაფერი!

დოდო. რა იცი, რომ მოწამლულია?

ანდრო. მე? მე რა ვიცი? მე ვაწერ ყველაფერ ხელს. სტამალში. ბრიუსელში, უნევაში, მე გყიდულობ მკვდარ საქონელს...

დოდო. გინახავს, ჩემი უფროსი როგორ ანთებს სანთელს აკლესიაში? თითქოს ცოდვებს ინანიებსო. ცოდვა კი, უნდათ თუ არა, უფროსებს ბლომად აქვთ. ერთხელ წირვაზე თბალებში შევჩერდეთ ერთამანეთს. დიდხანს მიყურა, არც მე ავარიდე თვალი. რაკებ მიხვდა, რასაც იმ წუთას ვფიქრობდი. მიყვარს ნიჭიერი ქარი. ეკლესიიდან რომ გამოვლიოდი, გვერდით ჩამიარა და ჩუქად მითხრა: მართალი ხარ. ჩემო ელეონორაო. ეს სახელი პასიურიში მიწერია მხოლოდ, არავის ჩემთვის ასე არ დაუძახია. მართალი ხარ, ელეონორაო. არა — ჩემო ელეონორაო, სანთელი არ შევლის არაფერსო. რატომდაც შემეშინდა და შემეცოდა კადეც. არ არსებობს ძალაუფლებაზე დიდი სიმარტოვე.

ანდრო. არ მინდა, არ მინდა ასეთი ლაპარაკი. სული მწვეუთება. ვიხრჩობი თითქოს.

დოდო. სული გეტუთება? იხრჩობი? ამაზე მაშინ უნდა გეტიქრა, როცა დოლარები შენს სახელზე პირველად გადაეცი რიცხეს უნენებაში. ბანკის თავაზიანად მომღიმარმა, წელში მოსი რილმა მოხულემ სინით მოგართვა პირადი ანგარიშის ნომერი, გახსოვს, ორივეს როგორ გვრცხვენოდა?

ანდრო. იქიდან ცარიელი გამოვედი, თითქოს ყველაფური გამომაცალეს. საკუთარი თავი და საკუთარი სინდისი სეითუში დავტოვე.

დოდო. სამაგიეროდ, მერე ხომ გაადგილდა? პირველადაა ძნელი. ამიტომ გირჩევ, ამაზე აღარ იფიქრო. ბანკიდან ყველაზერს გამოგატანენ. დოლარი იქნება თუ ოქროს ზოდი, ოღონდ სინდისი სამუდამოდ რჩება მის სეიფში, ეს უკვე მისი საკუთრებაა.

ანდრო. სატანის ჭკუა გაქვს...

დოდო. მერე რა, ცუდია? მე ამას კომპლიმენტად ვიღებ. ანგელოზის ჭკუით ახლა სასაკლაოზე გაჭყავთ საქონელი. არ მინდა, არ მინდა სხვებთან ერთად... არა! ვერ ვიტან ნაზირს, ჯოგს, ფარას, არვეს, კოლტს, კიდევ რა არის ცხოველთა თანაარსებობის გამომხატველი?

ანდრო. შეიძლება შენ ხალხსაც ვერ იტან...

დოდო. შეიძლება... ამაზე არ მიფიქრია.

ანდრო. იცი, ბედნიერები როდის ვიქნებოდით? ყოველ შემთხვევაში, მე — ნამდვილად: მოელი სიცოცხლე ციხეში რომ ვმჯდარიყავი და თავისუფლებაზე მეტიქრა. თავისუფლებამ მონებად გადაგვატცია. თუ ხედები, რატომ? ჩვენ ისე ვიბრძოდით თავისუფლებისათვის, არ ვიცოდით, რა იყო ნამდვილი თავისუფლება. მაშინ სულიც სუფთა მქონდა, სპირტის ალივით...

დოდო. და ამის მერე გიკვირს, შენი შვილი ლექსებს რომ წერს?

ანდრო. რის მერე?

დოდო. არა უშავს, შენც გაგივლის ეგ. ზოგჯერ საყმაწვილო სენი, თავის დროზე თუ არ მოიხადა, სიბერებში შეეჭრება ხოლმე კაცს.

ანდრო. ნუ იცინი!

დოდო. იცი, რას გეტუყვი: არ გვინდა შახსეი ვახსეი. მარტო სუსტი ადამიანები ნანობენ იმას, რისი გამოსწორებაც შეუძლებელია. როგორ შეიძლება დღეს ადამიანი პატიოსანი იყოს, შეით უმეტეს, ნორმალური ადამიანი, თანაც ჩვენთან!

პაუზა.

ანდრო. ამიტომ ჩამოხვედი?

დოდო. რა თქვი?

ანდრო. ამიტომ ჩამოგიყვანეს სასწრაფოდ, ზომ?

დოდო. ვის უნდა ჩამოვევვანე? მე თვითონ ჩამოვედი. ხომ კითხარი, გულმა მიგრძნო-მეტქი, გჭირდებოდი.

ანდრო. თუ იმათ ჭირდებოდი? ამიტომ გამოგიმახეს სასწრაფოდ?

დოდო. არ ვიცი, ვის გულისხმობ, მაგრამ ერთსა გთხოვ, დაშიჯერე, არ გატყუებ. საერთოდ კი, როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი არ არსებობს.

ანდრო. მართალი ხარ, სხვა გამოსავალი აღარ დარჩა...

დოდო. არ ვიცი, ამჟამად რა გაწუხებს, მაგრამ რატოდაც შენი სიტყვები მახსენდება; კორუფცია რომ არ იყოს, შეიმშილით გაუწყდებოდითო. განა ეს შენი სიტყვები არ არის?

ანდრო. მოკლედ, ყველაფური ნათელია ჩემთვის. აღარ გინდა... საკმარისია...

დოდო. წამოდი, დავიძინოთ. დავიღალე. ნურაფერზე ფიქრობ. აზრი არა აქვს, ხომ გითხარი. ჩემთან ნურაფრისა გეშინია. შენთანა ვარ, შენს გეერდით. წამოდი, წამოდი. ან რა არის საშიში? თვითონ გამოიგონე, ეტყობა, რაღაც.

ანდრო. იცი, ახლა სწორედ ის მაფორიაქებს, რომ აღა-

რაფრის აღარ მეშინია. წადი, დაწექი... დაიცა, მოდი აქ, მომილა
ახლოვდი... (დოლოს მეტრდზე მიადებს თითს) ჭალაში კი არჩი
აი, აქ კვდება ოურმე ჩიტი.

დოდო. რა თქვი?

ანდრო. არაფერი. წადი. მალე მოვალ.

დოდო მიდის.

ანდრო თთახში დაბორიალობს. ზოგჯერ ისევ ფანჯარას შე
თან ჩერდება. მერე საგარძელები ჯდება, თითქოს რაღაცას უ
ვიღაცას ეღლოდება.

ცოტა ხნის მერე კარზე ზარი ირექება.

ანდრო წამოდება. კართან მიყა. ჭუჭრუტანაში გაიხე
დავს. გაეგვირვებული შემოტრიალდება. კარს ზურგით აექა
ვრება. ჯიბიდან მობილურს ამოიღებს, დარუკვას აპირებს, მაგა
რამ გადაიფიქრებს. ისევ გაიზედავს ჭუჭრუტანაში. მერე კარს
აღებს.

კართან სიშმრის ქალი დგას, ისევ ისე ჩაცმული — კაცის
გრძელი პალტო. მაღალი, პრიალა ქუდი. ხელში ჩანთა უჭი-
რავს.

ქალი. დამებმარეთ, ბატონო, რითაც შეგიძლიათ, უულით,
საჭმლით, ტანსაცმლით... ლტოლვილი ვარ, გაუბედურებული...

ანდრო. თქვენ?..

ქალი. ბატონ?

ანდრო. შემობრძანდით, ქალბატონო, შინ.

ქალი. მრცხვენია, მაგრამ რა ვენა.

ანდრო. შემოდით, შემოდით.

ქალი. გმაღლობ, ბატონო (თთახში შემოდის) გმაღლობ.

ანდრო. ეს ჩანთა...

ქალი. რა ბრძანეთ?

ანდრო. არაფერი, დაბრძანდით.

ქალი. თუ ვერ დამებმარებით, ნუ შეწუხდებით. ახლა ყვე-
ლაში.

ლას უჭირს. ასე დავდივარ კარიდან კარად, ვმათხოვრობ მას-
წავლებელი ქალი. გვიან მოუვდი, ალბათ გაგაღვიძეთ.

ანდრო. არა, არ მეძინა. რატომ არ ჯდებით?

ქალი. ვიდგები, ბატონო, არაფერი მიჭირს.

ანდრო. მე არ მიცნობთ?

ქალი. არა, ბატონო, არ გიცნობთ. ჭიშკარი ლია იყო და
ამიტომ უფრო გავბედე შემოსვლა.

ანდრო. კიბესთან, კიბესთან არავინ იდგა?

ქალი. არა. არავინ დამინახავს. გვიან მოვედი. მაპატიეთ
გაჭირებამ დროის ცნობა არ იცის.

ანდრო. მე თქვენ გიცნობთ!

ქალი. რა ბრძანეთ?

ანდრო. დიახ, გიცნობთ, ქალბატონო, და თქვენ გელოდე-
ბითდით სწორედ. ვიცოდი, რომ მოხვილდით, უსათუოდ, უსა-
თუოდ! (მუხლებზე დაეცემა). ვიცოდი! ვიცოდი! ვიცოდი!

ქალი. რას შვრებით, ბატონო, აღექით ახლავე! როგორ
ასეადრებათ!

ანდრო. მიწა! მიწა! მიწა დაგვეპარგა!

ქალი ჩანთიდან მაყუჩიან პისტოლეტს ამოიღებს.

ანდროს ხელები სახეზე აუფარებია. თითქოს ლოცუ-
ლობსო.

ანდრო. გმაღლობ, ღმერთო, რომ არსებობ! გმაღლობ,
ღმერთო, რომ არსებობ!

ქალი ესვრის.

ანდრო ეცემა.

ქალი პისტოლეტს მაყუჩის მოხსნის. ჩანთაში ჩააგდებს.
აუჩქარებლად საჭმიანობს. შემოდის დოლო. ქმარს მაჯას უსინ-
ჯავს.

დოდო (მკვლელს). მომექმარე! (ანდროს გვამს საგარმელა: ში გადაიტანენ. დოდო ქალს პისტოლეტს გამოართმევს. ტიც ლოთი გაწმენდს და ანდროს ხელში ჩაუდებს). (მკვლელს) — კარგია. წადი. (მკვლელი მიდის. დოდო მობილურით რეკავი) — მე ვარ. მორჩა ყველაფერი. (კრეფს ახალ ნომერს) — ვაუ!, ამოდი!

ბორბლებიანი საგარმლით შემოიჭრება ბატონი დავითი, ჯერ შეიძის გვამთან ჩერლება. კარგა ხანს უფრუბდს. მერე რძალი შეზედავს. რძალი თვალს აარიდებს. დავითი საგარმელს აუას სცენაზე გამოაგორებს, თან დროშას აფრიალებს.

დავითი (გაბზარული, ტირილგარუული ხმით). გაუმარჯოს თავისუფლებას! გაუმარჯოს თავისუფლებას!

(უფრო ხმამაღლა): — გაუმარჯოს თავისუფლებას! (ისა ტერიულად): — გაუმარჯოს თავისუფლებას!

დასასრული

2003 წელი

პიპაბუ-პიპაბუ

კომედია

„ტიო-ტიო-ტიო-ტიო-ტიონკს!
კიკაბუ-კიკაბუ!“
არისტოფანე — „ჩიტება“

პერსონაჟები:

1. მელიტა, იგოე ქალჩიტა — პრიმადონა
2. არისტო, არისტოფანე — დრამატურგი
3. ქრისტო — რეჟისორი
4. ალეკო — მელიტას ძმა, აფერისტი
5. დელფინა — პატიმართა უფლებების დაცვის ინსპექტორი
6. იასონი — ბიზნესმენი
7. ოვერი
8. პოლიკო } მსახიობები
9. ოტელო
10. შოშია — მოგარნახე
11. ჟორჟი — ფოტოკორესპონდენტი
12. მაცნე
13. ნენსი } მელიტას შვილები, უკუთხია, გოგო ზანგი იყოს
14. ლუკანო
15. ოსიკო — მორიგე პოლიციელი
16. ამური

მსახიობები. პოლიციელები. ჯარისკაცები. ოფიციანტი

